**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/160623/1**

**ქ. თბილისი** **16 ივნისი, 2023 წ.**

**ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

---

**(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)**

და მეორეს მხრივ **შპს „გერასი“** მისი დირექტორის გიორგი წიკლაურის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), იურიდიული მისამართი: ქ.რუსთავი, ალუბლების 23ა, ს/კ: 416366907, ტელ: +995599042333, ელ-ფოსტა: ltdgerasi@gmail.com; სს „საქართველოს ბანკი“, BAGAGE22, ა/ა GE21BG0000000534036357

---

**(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)**

**1. ხელშეკრულების ღირებულება**

შემსყიდველმა გამოაცხადა 2023 წლის სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით **სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოების (CPV 44512000 - სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოები)** სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **(NAT230010800)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **9`300.00 (ცხრა ათას სამასი ლარი და 00 თეთრი**) ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება) .

**2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1 (სატენდერო დოკუმეტაციის დანართი №1 ) შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. .ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

**3.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები**

**3.1.** შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს „დანართი N1-ფასების ცხრილი“-თ გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

**4.საქონლის მიწოდების პირობები**

4.1.საქონელის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან **15 (თხუთმეტი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. საქონელის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, აბზიანიძის N4;

**5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3.იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ამავდროულად მიმწოდებელს განესაზღვრება 5(ხუთი) სამუშაო დღე, რათა უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშკრულება.
5.4. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

**6. ანგარიშსწორება**
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედდებულებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**7. მხარეთა ვალდებულებები**
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5.დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**8. მხარეთა უფლება**
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხის და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

**9. ფორს-მაჟორი**
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა**

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**11. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით
მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

**13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

13.1იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოების  მიწოდების პროცესში გამოვლინდა, რომ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ამ ხელშეკრულების N1 დანართში აღნიშნულ მაჩვენებლებს ან/და თუ დარღვეულია ამ ხელშეკრულების 7.1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა, აღნიშნული ჩაითვლება არაჯეროვან შესრულებად და შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელი დააჯარიმოს ერთჯერადად მთლიანი ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

13.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,15%-ის ოდენობით.

**14. ხელშეკრულების შეწყვეტა**

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**15.გარანტია**

**15.1.** შემოთავაზებულ შესყიდვის ობიექტზე, სწორი ექსპლუატაციის პირობებში, გარანტია ვრცელდება მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **1 (ერთი) წლის** განმავლობაში.

**15.2**. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი (ტრანსპორტირების ჩათვლით), საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა ახლით, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან (მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით) გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ხარვეზი გამოწვეულია ნივთის მექანიკური დაზიანებით.

**16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2023 წლის 31 აგვისტოს** ჩათვლით, გარდა ხელშეკრულები მე-15 მუხლით განსაზღვრული ვადისა.

| | |
|---|---|
| **„შემსყიდველი“**<br>**სსიპ „შემოსავლების სამსახური“** | **„მიმწოდებელი“**<br>**შპს „გერასი“** |
| ---------- | ---------- |
| **ფინანსური დეპარტამენტის უფროსი** | **დირექტორი** |
| **მიხეილ ახვლედიანი** | **გიორგი წიკლაური** |
| LEPL REVENUE SERVICE<br>Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE<br>Date: 2023.06.16 17:26:06 +04'00' | Giorgi Tsiklauri<br>Digitally signed by Giorgi Tsiklauri<br>Date: 2023.06.16 13:57:40 +04'00' |

**დანართი N1-ფასთა ცხრილი**

| N | დასახელება | რაოდ | განზ | შემოთავაზებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები | მწარმოებელი ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია და მოდელი (არსებობის შემთხვევაში) | საგარანტიო ვადა და პირობები | მიწოდების ვადა და ადგილი | ერთ ფასი | სულ ფასი დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხელის ინსტრუმენტებისა და ქანჩის გასაღებების ნაკრები | 15 | ცალი | **ხელის ინსტრუმენტებისა და ქანჩის გასაღებების ნაკრები - 142 ც ერთეულისაგან შემდგარი, შეფუთვის ტიპი :ქეისი**<br><br>**1/2" DR.Part:**<br>19 ცალი 1/2" ექვსწახნაგა თავაკი (8-10-12-13-14-15-16-17-18-19-20-21-22-23-24-25-27-30-32 მმ);<br>5 ცალი 1/2"; ვარსკვლავა თავაკი (E10 12 14 16 20);<br>1 ცალი 1/2" Dr.FleX სახელური 375 მმ;<br>1 ცალი 1/2" ხრუტუნა ქანჩის გასაღები 45T;<br>2ცალი 1/2" დამაგრძელებელი (75 მმ (3") 250 მმ (10 ");<br>1 ცალი 1/2"Dr. უნივერსალური შარნირი;<br>1 ცალი 1/2"(F) * 3/8" (M) სამმხრივი ადაპტერი;<br>2 ცალი სანთლის (სვეჩის) ბუდე 1/2 "Dr.16 მმ & 21მმ;<br>- 1 ცალი 1/2" სახელური * 10";<br><br>**3/8"DR.Part :**<br>15 ცალი 3/8"12pt. თავაკი (6-7-8-9-10-11-12-13-14-15-17-18-19-21-22 მმ);<br>1 ცალი 3/8" ხრუტუნა ქანჩის გასაღები 45T;<br>2 ცალი 3/8" დამაგრძელებელი (75 მმ (3") 150 მმ (6 ");<br>1 ცალი 3/8"Dr. უნივერსალური შარნირი<br>**1/4"DR.Part:** 26 ცალი 1/4 "* 25მმ სახრახნისი (PH0-PH1-PH2-PH3-PZ0-PZ1-PZ2-PZ3-SL4-SL5.5-SL7 H2-H3-H4-H5-H6-H7-H8-H10, T10H-T15H-T20H-T25H-T27HT30H-T40H);<br>- 1 ცალი თავაკის სამაგრი;<br>- 9 ცალი 1/4" ექვსწახნაგა მაერთებელი (4-4,5-5-5,5-6-7-8-9-10);<br>- 5 ცალი 1/4" ვარსკვლავა თავაკი (E4 5 6 7 8);<br>- 1 ცალი 1/4" ხრუტუნა ქანჩის გასაღები 45T;<br>- 3 ცალი 1/4" დამაგრძელებელი 50 მმ (2") 100 მმ(4 ") 150 მმ (6");<br>- 1 ცალი 1/4"Dr. უნივერსალური შარნირი;<br>- 1 ცალი 3/8"(F) * 1/4" (M) სამმხრივი ადაპტერი;<br>- 1 ცალი 1/4" * 150 მმ Spinner სახელური;<br>- 1ცალი 1/4"* 150 მმ მოქნილი დამაგრძელებელი;<br><br>17 ცალი კომბინირებული ქანჩის გასაღები (6-7-8-9-10-11-12-13-14-15-16-17-18-19-21-22-24);<br>- 5 ცალი წამოსაცმელი ღიახახიანი ქანჩის გასაღები (8 * 10-10 *12-11 * 13-12 * 14-17 * 19);<br>- 10 ცალი ექვსწახნაგა გასაღები (2.5-3-4-5-6-7-8-10-12-14 მმ);<br>- 1 ცალი ჩაქუჩი (300 გრ);<br>- 1 ცალი 7" კომბინირებული ბრტყელტუჩა;<br>- 1 ცალი 10 " მოხრილი ქანჩის გასაღები;<br>- 2 ცალი S2 შლიცებიანი სახრახნისი (SL6.5 * 100 SL6.5 * 150);<br>- 2 ცალი S2 სახრახნისი Phillips (PH2 * 100 PH2 * 150);<br>- 2 ცალი ნაკერების სახრახნისი (PH2 * 38 SL6.5 * 38) | **ჩინეთი Total - THKTHP21426** | მიწოდებულ საქონელზე, სწორი ექსპლუატაციის პირობებში, გარანტია ვრცელდება მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში. | საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში; მის: ქ.თბილისი, აბზიანიძის 4 | **450** | **6750** |
| 2 | მკვნეტარა, მავთულის მჭრელი | 30 | ცალი | სიგრძე: 762 მმ<br>მასალა: ფოლადი (Cr-V)<br>კომფორტული რეზინის სახელურით | **ჩინეთი INGCO HBC0830** | | | **85** | **2550** |
| | | | | **სულ:** | | | | | **9 300** |